შპს „ინდო ჯორჯია“ ს/კ:439418471; მის: საქართველო, საჩხერის რაიონი, სოფ. სავანე, მე–8, I ჩიხი, N 2; ელ-ფოსტა: indojorjia@gmail.com ; ტელ: +995 599 269 819

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

N252/22 **25.03.2022 წ.**

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. სავანეს მიმდებარედ (ს/კ: 35.10.67.015) შპს „ინდო ჯორჯია“-ს დაგეგმილი აქვს ფეთქებადი მასალების დამამზადებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

საწარმოში მოხდება სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დამზადება, კერძოდ:

ემულსიური ფეთქებადი ნივთიერება “კავაგოლდ77”

- 50 მმ-იანი, 60-80 მმ-მდე, 120-140 მმ-მდე (4800 კგ წლიურად, მაქსიმუმ 400 კგ თვეში).

ამფო/იგნანტი

- გვარჯილა-დიზელი 25 კგ ტომრებში დაფასოებული (4800 კგ წლიურად, მაქსიმუმ 400 კგ თვეში).

საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის მე-8 პუნქტის 8.6 ქვეპუნქტით (ასაფეთქებელი მასალების წარმოება) გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-8 პუნქტის (8.6 ქვეპუნქტი) საფუძველზე მომზადდა წინამდებარე სკოპინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1 CD ;

პატივისცემით,

შპს „ინდო ჯორჯია“-ს დირექტორი

კახაბერ ჯაფარიძე

№ 7723
01" 04 2022
1/CD